

პროლეტარებო ეველა ქვეუნისა, შეერთდით!

◆◆◆◆◆ ფ ა ს ი ◆◆◆◆◆

კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 8.000 მანეთი.

წელიწადი  
მეორე

# მთაბაე

შაბათი,  
ივლისის 10.  
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 34

ე თ ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ო რ გ ა ნ ო .

№ 34

## ქუჩნალ „მთაბაე“-ს რედაქციისაგან.

ეველა ხელის მოძქერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საუურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

## ყუჩრნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ყველა ხელის მოძქერი ვალდაჟულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოძქერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკობათ ქუჩრნალის გზავნა.


ყუჩრნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიჲა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.



# ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ი ბ ე რ ი თ ე ბ ა

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართვე. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის შესახებ.

1. „სახელმწიფო სტატისტიკის“ დებულების მე-4-ე მუხლის თანახმად ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან; — მისი მოქმედების საერთო ხელმძღვანელობისათვის, — მოეწყოს კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მმართველობისა, მისი მოადგილისა და ცენტრალურ სტატისტიკური განყოფილების გამგეთაგან.

**შენიშვნა:** მმართველის მოადგილე იმავე დროს არის აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ერთ-ერთ განყოფილების გამგე.

2. კოლეგიის მოქმედების ფარგლებში უდგის:

ა) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოქმედებასთან დაკავშირებული საერთო საპროგრამო, საორგანიზაციო და საფინანსო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა.

ბ) განხილვა და დამტკიცება იმ საპროგრამო-საორგანიზაციო საკითხებისა, რომლებსაც წარუდგენენ უწყებათა სტატისტიკური განყოფილებანი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — დასკვნისათვის.

გ) განხილვა და დამტკიცება საკითხებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო სტატისტიკის საქმეთა საბჭოსა და სტატისტიკოსების კონფერენციებისა და ყრილობის მიერ.

დ) განხილვა მმართველის მოადგილისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების გამგეთა კანდიდატურისა და აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ქვე-განყოფილებებისა და ადგილობრივი სტატისტიკური ბიუროების გამგეთა დამტკიცება.

3. კოლეგიის თავმჯდომარედ არის მმართველი ხოლო მმართველის არ ყოფნის დროს — მისი მოადგილე.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტ.

თავმჯდ. მოადგილე ბ. კვიციანი.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 20.

ტფილისი — სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილებას მიზნად აქვს მოწყობა და გაერთიანება ტვირთზიდვის საავტომობილო-სატრანსპორტო საქმეებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და აგრეთვე აღნუსხვა-განაწილება და მიზანშეწონილი გამოყენება ყველა უწყებათა საწყობებისა.

**ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების ფუნქციები.**

ა. სატრანსპორტო ნაწილში.

1. აღნუსხვა რესპუბლიკაში ხელზე ქონებულ ტვირთზიდვის ყველა საავტომობილო საშუალებათა.

2. მათი ექსპლოატაცია:

ა) განაწილება და გადაწილება უწყებათა შორის ტვირთზიდვის საავტომობილო ტრანსპორტისა;

ბ) კონტროლი უწყების განკარგულებაში გადაცემულ ტრანსპორტის სწორი სარგებლობისათვის;

გ) გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებათათვის სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებისა;

დ) წინასწარი შედგენა საერთო გეგმისა და სასწრაფო განცხადებისა წყალზე და რკინის გზაზე ტვირთის გადაზიდვის შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებათათვის;

ე) განხილვა დინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით და დამტკიცება ყველა გეგმითი და სასწრაფო გადაზიდვისა, რომელიც ეხება ტვირთზიდვასა და საავტომობილო ტრანსპორტს, რესპუბლიკაში;

ვ) მუდმივი შინაგანი სამსახურის გაწევა სატრანსპორტო საშუალებებით ქალაქებისა და ფაბრიკა-ქარხნების რაიონებისათვის;

ზ) ფოსტისა და მგზავრების გადაყვანა და გადაზიდვა რესპუბლიკის ყველა გზაზე;

თ) დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატანა და გადმოზიდვა ყველა ტვირთისა სადგურებსა, ნავთსადგურებსა და პორტებიდან.



3. დამტვირთავ მუშათა არტელები მოწყობა და მათი გადაგზავნა ისეთ ადგილებში, რომელთაც ეს უმეტესად ესაქიროებათ.

4. სატვირთო და სამგზავრო ტარიფების და-მუშავება ტვირთზიდვის საავტომობილო ტრანსპორ-ტისათვის და მათი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.

5. გაცემა სათანადო დაწესებულებათა და პირთათვის, თანახმად მთავრობის დეკრეტისა, ბრძანებისა და დადგენილებებისა, მებატონეთა მიერ ვადაზე მიუღებელ, ულოკუმენტო ჩამორთმე-ულ და რკინის გზის ტრანსპორტის გზაზე ნაპოვნ რევირთისა, რომელიც თვით გზაზე იმყოფება, ან რკინის გზის პაპგაუზებში ინახება და რომელიც უნდა გადაეცეს ცენტრალურ სატრანსპორტო სა-მარტიოლო განყოფილებას.

6. შონაწილეობის მიღება ყველა ორგანიზა-ციებში, რომლებიც განაგებენ რკინისგზების გან-ტვირთვის საქმეს.

7. გახსნა საკომერციო მიზნით სატრანსპორ-ტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანს-პორტო-საკომისიო კონტორებისა, როგორც საქა-რთველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საქართველოს რესპუბლიკის გარეშე სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

8. უფლება, იქონიოს პირდაპირი დამოკიდე-ბულება რკინის გზებთან და ნაოსნობასთან, ცენ-ტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფი-ლების სატრანსპორტო-საკომისიო კონტორების სა-შუალებით გადასახიდი ტვირთის პირდაპირ დოკუმ-ენტების მისაღებად.

9. წინასწარი განხილვა და წარდგინა და-სამტკიცებლად სათანადო უწყებისათვის ყველა შუამდგომლობათა, თავისი დასკვნითურთ და წეს-დების თანდართვით, კერძო პირებისა და ორგანი-ზაციების მიერ სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო სა-ზოგადოებისა და კონტორების გახსნის შესახებ.

10. დაწესება ფინანსთა სახალხო კომისარიატ-თან ერთად სახელმწიფოს სასარგებლოდ საკომი-სიო და სხვ. გადასახადის ნორმისა—თვითეულ დო-კუმენტზე და თვითეულ ფუთზე ტვირთისა კერძო სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო კონტორის ხელში გა-ივლის.

11. კონტროლი კერძო სატრანსპორტო-საკო-მისიო კონტორებისა წესდებით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა სისწორით აღსრულებისათვის.

**ბ. სამატერიალო ნაწილში.**

1. აღნუსხვა სასაწყობო შენობებისა რესპუბ-ლიკაში და მათი განაწილება და განაწილება უწყებათა და კერძო დაწესებულებათა შორის.

2. მომარაგება საავტომობილო ტრანსპორტი-სა საქირო ნაწილებითა, საწვავ და სხვა მასალითა.

3. გამგებლობა ცენტრალურ სატრანსპორტო სამატერიალო განყოფილების საექსპლოატაციო და დროებითი სასაწყობო შენობებისა.

**გ. ბ უ ხ ჯ ა ლ ტ ე რ ი ტ ა რ ი ე ნ ე უ ლ ი**

**შ ი ე ლ ი ე ტ ე ს ე**

1. წარმოება სამატერიალო და სატრანსპორ-ტო ანგარიშებისა;

2. შედგენა აღრიცხვისა,

და 3. შემოღება ანგარიშ-წარმოებისა და მისი სისწორით წარმოებისათვის ზედამხედველობა სა-ტრანსპორტო საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო კონტორებში.

ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც დამტკიცებს თანამდებობაზე და თანამდებობიდან დაითხოვს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი ტრანსპორტის მუშათა კავშირთან ერთად.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვიციანი**.

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭ. თავმჯ. **მ. ტორაშელიძე**.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **აღ. სალარიძე**.

1922 წ. თებერვლის 28. ტფილისი—სასახლე.

**ს ე ნ ბ რ . ა ლ მ ა ს რ უ ლ . კ ო მ ი ტ .**

**პ რ ა ხ ა ნ ე ბ ა № 5 .**

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ბ ჭ ქ ო თ ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა .

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ბ ჭ ქ ო თ ა პ ი რ ვ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ის და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ის შესასრულებლად საქარ-თველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაუ-ლი შეფარდებული იქნეს ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ბ ჭ ქ ო თ ა პ ი რ ვ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ის დღესთან—თებერ-ვლის 25-თან.

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ე ნ ტ რ ა ლ . აღმას. კომიტ. თავმჯდ. **ფ. მახარაძე**.

ც ე ნ ტ რ . აღმას. კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**.

1922 წ. მაისის 23. ტფილისი—სასახლე.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა მიწათმოქმედების შესახებ. (შედგენილია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე 17 №-ის დეკრეტის მე-18 მუხლის თანახმად)

## I

### ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მაგალი მიწა-წყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრებ მშრომელ ხალხს საერთო კუთვნილებას.

ამ ფონდს განაკვებს და აწესრიგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. მიწათმოქმედების მიზანია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე-17 №-ის დეკრეტის განხორციელება.

3. მიწათმოქმედების საგანს შეადგენს:

ა) მიწით დაკმაყოფილება: 1) უმიწაწყლო გლეხისა და მცირე მიწაწყლის მქონე მეურნის; 2) კულტურულ, სამრეწველო, (როგორც სახლმწიფო ისე კერძო) და ადმინისტრატიული დაწესებულებისა და 3) კომუნისა, ამხანაგობისა, ან არტელისა და სხვა კოლექტივისა;

ბ) მკიდრო დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა;

გ) მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება და მიწების რაკონალურად დანაწილება.

4. მიწათმოქმედების სამუშაოს უშუალო აღმასრულებელი არიან:

მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი და სასოფლო საადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთა თუნქციები და მოქმედების საგანი ცალკე ინსტრუქციით განისაზღვრება.

## II.

### მიწის ნორმა

5. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (კოპი) და მიწის ავკარჯიანობა.

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაიკრავება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ დავრდომილს, ქვრივ-ობოლს, მიწის მუშა წითელ არმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას, — დაეტოვება სრული ნორმა ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში (როგორც არის მაგალითად რკინის გზა, ქვა-ნახშირის მრეწველობა და სხვა) დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

შენიშვნა: 1: ოჯახის წევრთა რაოდენობისა და მოსწავლეც 25 წლის ასაკამდე

შენიშვნა 2: სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლის ცალკე დებულებაში.

7. მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (მისდევს ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფასი მცენარეების და სხვა ამგვარ სამრეწველო კულტურას) დაეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაში არის და შემუშავებულა მისი პირადი და მისივე ოჯახის წევრთა შრომით, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა დაწესებულ ნორმას აღემატებოდეს და უკეთეს ეს მეურნეობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩარიცხული არ იქნება საბჭოთა მამულად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მფლობელს დაეტოვება ისეთი კულტურული მამული, რომელიც ნორმას აღემატება, ეს მამული შეიძლება დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დასტურით.

8. მიწა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ. — ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

9. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება მოხდება იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია იმ რაიონებისათვის, სადაც საახალშენო ფონდი არსებობს. მოახალშენე ვალდებულია თავისი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე გადასცეს ადგილობრივი საბჭოს განკარგულებაში, ახალშენში მოწყობის შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან ახალშენში გადასახლებისა.

10. კომუნას, ამხანაგობას ან არტელს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება მიეცეს ესა თუ ის კულტურულად შემუშავებული მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს კოლექტივში შევლენ იმ სოფლის, ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლო, ან მცირე მიწის მქონენი რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრად მიღება ერთ ან რამდენიმე გარეშე პირისა, თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნით საქირონი არიან ამხანაგებისათვის.

## III.

### მიწის სარგებლობა.

11. მიწის სარგებლობის ფორმა, იქნება იგი საკომლო, საარტელო, საამხანაგო, საკომუნო თუ სათემო, თავისუფალია.

შენიშვნა: სათემო მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო წესიდან და ცალკე სარგებლობისათვის მილოს მიწის ხვედრი ნორმა;



12. მიწათ-მოქმედების მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (передел) აკრძალულია.

13. მიწის სარგებლობა არის უფადო, შეუწყვეტელი და საშვილიშვილო.

14. მიწის სარგებლობის უფლება მოიპოვება:

ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწის სარგებლობაზე;

ბ) ოჯახის გადაშენებით;

გ) როცა ოჯახი გადასახლდება ახალ ადგილზე.

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრული დანაშაულებისათვის.

ე) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გასაყვანად, სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.)

**შენიშვნა:** მეხუთე წერტში აღნიშნულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აენაზღაუროს ზარალი და, შეძლების დაგვარად, მიეცეს სხვა მიწა.

15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება და იჯარით გადაცემა) აკრძალულია.

**შენიშვნა:** განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვ.) ან მუშა ხელის დაკლების მიზეზით (მოზილიზაციით გაწვევა და სხვ.) დროებით შერყეულ მეურნეობას, აგრეთვე ქვრივ-ობლებს და მოხუცებულ-დავრდომილებს, უფლება ეძლევათ — მიწა იჯარით გასცენ მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილების კანტროლს ქვეშ, რომელი განყოფილებაც მოქმედებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად იჯარის შესახებ.

16. დაქირავებული შრომის სარგებლობა სასოფლო მეურნეობაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლის ქვეშ;

ა) იმათთვის ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და

ბ) სასწრაფო, ვადიანი სამუშაოს სეზონში: თოხნისა, მკისა, ვენახის ან სხვა მკენარებებს წამლობისა, ჩაის მოკრეფისა, ჭირნახულის მოწევის დროს და სხვ.

17. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს ამა დებულების განსამართებლად ცალკე ინსტრუქციები.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

# და მ ა ს ე გ ე

## მიწათმოწყობის დებულების მე-6 მუხლისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე ზოსანდგობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლიან დაიტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საყენისა ერთ ნაჭრად, ხოლო ვისაც სამოსახლო ადგილი ახლად უნდა მიეცეს, მას მიეზომება სამოსახლო ადგილი არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საყენისა. ეს ნორმა სამასალო ადგილისა ქვემოთ მოყვანილ მიწის ნორმაში არ ჩაითვლება.

2. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფება შემდეგ ხუთ რაიონად:

**პირველ რაიონს** შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობის და მუხრანის და საკურამოს სააგარრო რაიონებისა; თიანეთის მაზრა გარდა მთიან ფშაგხევესურეთის, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ზორჩალოს მაზრის გაჩაგანის, დემურჩი-გასანლინის, გიაუი არხის, არუხლო სარკანს და აშავა-სერალის თემები და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

**მეორე რაიონს** შეადგენს, სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყარის ხეობა.

**მესამე რაიონს** შეადგენს მტკვრისა და ლიხავის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში — ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანისა და საკურამოს სააგარრო რაიონები.

**მეოთხე რაიონს** შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი) და

**მეხუთე რაიონს** — იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

**შენიშვნა 1:** სააგარრო რაიონების შედგენილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწათ-მოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

**შენიშვნა 2:** დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადაწყვეტს საადგილ-მამულო კომიტეტი.

3. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

**პირველ კატეგორიაში** ჩაითვლება: საეზოვე, ბალი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

**მეორე კატეგორიაში:** სახნავ სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯავნარი, რომელიც

მელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლიან.

**მესამე კატეგორიაში:** ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი. და

მეოთხეში ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩირგვნარი.

**შენიშვნა:** გამოუსადეგარი მიწა წყალი, როგორც მაგალითად, გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, დელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამ გვარი რამ, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

4. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახათ ჩაითვლება თვითნული ცალკე კომლი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3—5 სულისაგან შემდგარს. როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზედ ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

5. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო კომლს.

რაიონი	კატეგორია		დესეტინობით	
	I	II	III	IV
პირველი	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე	ოთხ ნახ.	ექვსი	შვიდ ნახ.	ცხრა
მესამე	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდ ნახ.
მეოთხე	სამ ნახევ.	ხუთი	ექვს ნახევ.	რვა
მეხუთე	ორ ნახევ	ოთხი	ხუთი	ექვსი

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდ. ფ. მახარაძე.

აღმასრულ. კომიტ. მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. მაისის 26.  
თბილისი—სასახლე.

# სსსპ. კომისარიატის სახალხო კომისარიატის

## დაკრები № 3.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისა და მათი საქართველოში შემოზიდვის სახელმწიფო მონაპოვად გამოცხადების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკაში ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისა და მათი შემოზიდვის შესახებ არსებულ ყველა დებულებათა შესაცვლელად და აგრძელებ ნავთის პროდუქტებით რესპუბლიკის სასურველად მომარაგებისა და წესიერად განაწილებისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. ნავთის პროდუქტებით (ნავთი, კეროსინი, საცხები ზეთი, ბენზინი და სხვ.) ვაჭრობა და მათი შემოზიდვა გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო მონაპოვად საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე—აჭარის ტანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფაზგლებში ყოველგვარი ნავთის პროდუქტების შემოზიდვა შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას, როგორც ახორციელებს სახელმწიფოს სპეციალური ორგანო—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის განყოფილება.

**შენიშვნა:** გამოწვევის შედეგად კავკასიის ცალკე არმია და ამიერ კავკასიის გაერთიანებული რეინის გზები, რომელთაც ნავთის პროდუქტები შეუძლიან შემოზიდონ მხოლოდ თავისი საქირობისათვის; ამასთანავე მათ მიერ შემოზიდულ ნავთის პროდუქტების აღწერას აწარმოებს სათბობის განყოფილება.

3. ნავთის პროდუქტების შექმნა და მათი გაყიდვა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას და სწარმოებს იმავე სათბობის განყოფილების მიერ. ხოლო აღნიშნული პროდუქტებით წვრილი ვაჭრობის უფლება აქვს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კოოპერატივს და კერძო პირს, რომელიც შეიძენენ ამ პროდუქტებს სათბობის განყოფილებიდან; ამასთანავე ვაჭრობა შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ იმავე განყოფილების მიერ მიცემულ ნებართვით.

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ყველა ნავთის პროდუქტების აღწერას და მათი წესიერად დახარჯვისათვის კონტროლის გაწევა დაევალება სათბობის განყოფილებას.

5. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს



სათბობის განყოფილებას უფლება ეძლევა, როგორც ამა დეკრეტის განსავითარებლად, ისე ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისა, მათი შემოზიდვისა და დახარჯვის წესიერად წარმოებისათვის გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.  
საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.  
სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე.  
სახალხო კომისარიათა საბჭოს  
მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. მაისის 8.  
ტფილისი—სასახლე.

### დეკრეტი № 4

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოსი.

კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სახლის მეპატრონეთა მფლობელობაში, სარგებლობაში და განკარგულებაშია, ყველა სახლი გარდა მუნიციპალიტეტისა ქმნილი და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული სახლებისა.

2. სახლის მეპატრონე ვალდებულია განავოს სახლი პირადათ ან განსაკუთრებული რწმუნებული პირის მეშვეობით, აწარმოვოს საჭირო რემონტი და სისრულეში მოიყვანოს ადგილობრივ ხელისუფლების ყველა განკარგულება, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრაციული ხასიათისა.

3. სახლის მეპატრონეს უფლება აქვს განასხვისოს სახლი ყოველგვარი სახით, გასცეს იჯარით და გააქირავოს ბინა.

4. ყველა, ვისაც სადგომი უჭირავს კერძო პირი, საზოგადოება თუ საბჭოთა დაწესებულება, ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის მეპატრონე ბინის ქირით.

5. მდგმურები ბინის ქირის გადახდის მხრივ განიყოფებიან ორ კატეგორიათ:

1. კატეგორია: ა) ყველა ვინც სავსებით დაკარგა შრომის უნარი ან სამხედრო ფრონტზე და იმყოფება სოციალურ უზრუნველყოფაზე; ბ) უმუშევარი, რომელნიც იმყოფებიან რა აღნუსხვაზე, სარგებლობენ სოციალური დაზღვევის უფლებით; გ) წითელ არმიელნი და სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა მოსამსახურენი, უკეთუ ისინი პროფესიონალური კავშირის წევრებია და არა აქვთ სხვა, არა შრომით მოპოვებული შემოსავალი; დ) მოსწავლენი

რომელნიც ცხოვრობენ დამოუკიდებლად მშობლებთან.

2. კატეგორია: ყველა დანარჩენი მოქალაქენი.

6. დადგენილება 1 კატეგორიის პირთათვის საცხოვრებელ სადგომის ქირის რაოდენობისა, იმ საბინაო ფონდისა, რომელიც აღებულ უნდა იქნეს აღნუსხვაზე, და აღნუსხვაზე აღებულ ოთახების სარგებლობის წესის შესახებ საქართველოს სხვადასხვა ადგილას—გამოცემული უნდა იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საჭიროებისამებრ.

7. აღნუსხვაზე აღებულ ოთახებისათვის მეპატრონე მიიღებს ქირას მდგმურებისაგან.

8. ორივე კატეგორიის პირი გადაიხდის ბინის ქირას მთელი სასარგებლო სივრცისათვის, რაც მას უჭირავს ან იმ ოჯახს, რომელსაც იგი ინახავს.

9. პირველი კატეგორიის პირი დაქვრილ სადგომისათვის გადაიხდის ქირას განსაკუთრებული ტარიფით.

10. ყველა დანარჩენი მოქალაქენი გადაიხდიან ბინის ქირას სახლის მეპატრონესთან შეთანხმებით.

11. პირველი კატეგორიის პირმა მიმდინარე თვის ბინის ქირა უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ამ თვის გასვლისა, ხოლო მეორე კატეგორიის პირმა ყოველთვიურად წინდაწინ, უკეთუ ამ უკანასკნელსა და სახლის მეპატრონეს შორის ამ საგანზე რაიმე სხვა შეთანხმება არ მოხდება.

12. მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დადგენილებით.

შენიშვნა 1: პირველი კატეგორიის პირი ბინის გადაუხდელობისათვის შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სახალხო სასამართლოს დადგენილებით წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე, უკეთუ ბინის ქირის გადაუხდელობა გამოწვეული არ არის სამსახურში ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობისა ან სხვა საპატიო მიზეზით.

შენიშვნა 2: უკეთუ სახლის მეპატრონე და მეორე კატეგორიის მდგმური, რომელიც უკვე სცხოვრობს სახლში, ვერ შეთანხმდნენ ბინის ქირას განსაზღვრავს სახალხო სასამართლო ყველა გარემოებათა მიხედვით, ხოლო ქირის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უწყებულებული რაიონის სათანადო სადგომის ომამდე არსებულ ქირას (ბონებზე გადატანით)

13. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისას ძალას ჰკარგავს ამ საგანზე წინად გამოცემული ყველა დეკრეტი და დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

თბილისი—სასახლე. 1922 წ. მაისის 15.

# დადგენილება № 19.

საქ. ს. ს. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

მუშა-მოსამსახურეთათვის დროებითი დამატებითი ფუ-  
ჯადი კომპენსაციის დაწესების შესახებ ამ სამსახურის  
ხარჯების გასასტუმრებლად, რომელსაც მათ უწევს კო-  
მუნალური განყოფილების დაწესებულებასი.

ვინაიდან ამა 1922 წ. აპრილის 1-დან შემო-  
ღებულია ერთიანი ტარიფი კომუნალური განყო-  
ფილების მიერ გაწეულ სამსახურის (წყლისა და გა-  
ნათების სარგებლობა) ხარჯების გასასტუმრებლად,  
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო  
კომისართა საბჭო აღგენს:

1. დროებით, ახალი ტარიფის შემოღებამდე  
სახელმწიფო მომარაგებაზე დარჩენილ წარმოებათა  
და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის,  
კომუნალური განყოფილების მიერ ამა წლის აპ-  
რილის თვეში მათთვის გაწეულ სამსახურის ხარ-  
ჯების გასასტუმრებლად, დაწესებულ იქნეს დამა-  
ტებად არსებული ტარიფისა, შემდეგი რაოდენო-  
ბის ფულადი კომპენსაცია: მარტოხელისათვის ორა-  
სი ათასი (200,000) მანეთი, ხოლო ოჯახის პა-  
ტრონისათვის სამასი ათასი (300,000) მან.

2. აღნიშნული დამატებითი ფულადი კომ-  
პენსაციის გაცემა გავრცელებულ იქნეს მხოლოდ  
ქ. ტფილისზე.

3. იმ წარმოებაში, სადაც დადებულია კო-  
ლექტიური ხელშეკრულება, ფულადი კომპენსაცია  
არ გაიცემა, ვინაიდან კომუნალურ განყოფილების  
მიერ გაწეული სამსახურის ხარჯები შეტანილია  
ხელშეკრულებით განსაზღვრულ სატარიფო განა-  
კვეთში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს თავმჯ. ს. ქავთარაძე.

შრომის სახ. კომის. მოადგილე ა. მიქაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი  
აღლ. სალარიძე.

1922 წ. მაისის 18.  
ტფილისი — სასახლე.

## შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი

### სირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ  
კომიტეტს.

წინადადება ეძლევა ყველა მაზრის და ქალაქის  
აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს ზომები, რათა

შემდეგში დაცულ იქნეს როგორც ადგილობრივი  
ორგანოთა ისე მოქალაქეთა მიერ შემდეგი წესი:  
ხშირად ხდება, ხოლმე რომ ადგილობრივი  
ხელისუფლების ორგანოები, დაქვემდებარებულნი  
მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და მოქალაქენიც,  
უმეშვეოდ მიმართავენ რომელიმე სადაო საკითხის  
გამოსარკვევად ან და სხვა და სხვა საჩივრებით,  
პირდაპირ ცენტრს და ამით ერთის მხრით სტოვე-  
ბენ რა განზე ადგილობრივ ცენტრალურ ორგა-  
ნოებს, რომლებიც უმაღლესი ორგანოები არიან  
და ამასთან პირველი ინსტანციაც თქმთა აღმა-  
სრულებელ კომიტეტებისათვის, აჭიანურებენ საქმეს,  
ვინაიდან ყოველგვარი, ასეთი გზით ცენტრში  
მიღებული საჩივარი კერძო პირთა, თუ ორგანოთა,  
გვზავდება ხოლმე უკანვე მაზრის უმაღლეს ორგა-  
ნოს სათანადო ზომების მისაღებად.

ამიტომ, რომ დაცულ იქნეს მთლიანი გეგმა,  
რომ არ იქნეს დატოვებული განზე მაზრის და  
სათანადო ხელისუფლების ორგანოები ყველა, რო-  
გორც კერძო პირი ის ადგილობრივი ორგანო  
ვალდებულია თავისი საკითხების გასარჩევ-გამო-  
სარკვევად მიმართონ: თემის ორგანოებმა მაზრისას,  
მოქალაქეებმა კი ან თემს, შემდეგ კი თუ თემი  
ვერ, ან არ გადასწყვეტს საკითხს მაზრისას.

ცენტრში უნდა იქნეს შეტანილი ქალაქი  
და სხ. მხოლოდ იმის შემდეგ, თუ ადგილობრივი  
ორგანოები ვერ გადასწყვეტენ საკითხს, ან არ  
გადასწყვეტენ კანონიერად. ასევე უნდა იქნეს  
მიმართული საჩივრები ხელის უფლების ორგანოების  
წინააღმდეგ აღძრული.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხა-  
დებს კატეგორიულად, რომ სხვა გზით კომისა-  
რიატში შემოსულ თხოვნას საჩივარს, შუამ-  
დგომლობას არ განიხილავს და გადაუგზავნის  
მაზრის ცენტრალურ ორგანოს.

მაშასადამე სქემა ასეთია: მოქალაქემ უნდა  
მიმართოს ჯერ თემის აღმასკომს, შემდეგ მაზ-  
რისას შემდეგ კი ცენტრს. თემის ხელის უფლე-  
ბის ორგანომ მაზრის აღმასკომ, შემდეგ  
ცენტრს.

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომს ევალება  
ფართოდ გააცნოს ყველას თავის ქვემდებარე  
რაიონში ეს ცირკულიარი.

შინაგან საქმეთა სახალხო  
კომისარის მაგ. ტალახაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო  
განყოფილების გამგე შ. დადიანი.

1922 წ. მაისის 22.





# ცირკულირულად.

# დადგენილება

## ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსული ცნობების თანახმად ადგილობრივ, როგორც მცხოვრებნი, აგრეთვე ხელის უფლების ორგანოებიც, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან რუსული ენის უცოდინარობი გამო. არის ისეთი შემთხვევაც, რომ ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს სახელმწიფო, ქართულ ენაზე, ლებულობს მოწერილობას რუსულად და ვინაიდან ადგილობრივი ორგანოს არ აქვს შეძლება და არც საჭიროება მოიპოვოს რუსულადვე პასუხს, საქმის სისწორით და დროზე ასრულება ბრკოლდება.

აღსანიშნავია ისიც რომ მიწერილობის გამგზავნი დაწესებულება უწინ სახელმწიფო ენაზე გზავნიდა მიწერ-მოწერას და პირადი შემადგენლობის გამო, ხშირად ირღვევა უკვე გაჩაღებული და მიღებული წესი. ასეთი გარემოება და არევ-დარევა ყოველად მოუთმენელია. გარდა ბორჩალოს, ახალქალაქის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და წითელ არმიისა, მიმოწერა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე.

ასეთი ხასიათის ცირკულირული ბრძანება უკვე გამოიცა (იხ. ჟურნალი „მოამბე“ № 13) 1921 წლ. აგვისტოში თანახმად საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ცირკულირული წერილისა და დეკრეტისა.

განმეორებით ეძლევა წანადადება ყველა ორგანოს ადგილობრივ და დაწესებულებათ სისწორით დაიცვან შემდეგი:

2. ადგილობრივ საპასუხ-სმჯებლო ადგილზე უნდა დაინიშნონ ისეთი პირნი, რომლებმაც აუცილებლად იციან ქართული ენა და გარდა ამისა იმ ეროვნების ენაც, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს ამა თუ იმ რაიონსა თუ თემებში.

3. მიწერ-მოწერა ადგილობრივ ორგანოებთან უნდა სწარმოებდეს აგრეთვე ქართულ ენაზე, ხოლო ისეთ რაიონებში სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას არა ქართველნი შეადგენენ უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

4. ამ ბრძანების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან პიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის  
მოადგილე **ტალახაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო  
განყოფილების გამგე **შ. დადიანი.**

1922 წ. მაისის 23.

*ქს კანკაძის  
საქმეთა მმართველი  
ნ. ბ. ბ. 1922. 05. 25*

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი მაზრის აღმინისტრ. ერთეულებად დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში: 1) რომ დადგენილებანი, მიღებულნი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ზუგდიდის მაზრის შესახებ წარსულ 1921-სა და მიმდინარე 1922 წელსა, დაცულია სავსებით, სახელობრ: ა) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წ/წ. 19 ნომბრის დადგენილება, რომლის ძალით სააფაქიო-ეწერი ცალკე თემად არის გამოცხადებული და ბ) იმავე კომისარიატის ა/წ. 6 იანვრის დადგენილება, რომლითაც ხორაშასა და ზანას თემები გამოირიცხულ იქმნა ზუგდიდის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე; 2) რომ ნუსხა, ზუგდიდის მაზრის აღმასრ. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი, შედგენილია თანახმად რევოლიუციონურ კომიტეტისა ა/წ. 1 იანვარს გაცემულ დადგენილებისა (№ 122) და 3) რომ ნუსხაში აღნიშნულ თემთა რაოდენობა უდრის 49 და არა 48, როგორც ეს მოხსენებულია ზუგდიდის მაზრის აღმასკომის მიერ გამოგზავნილ მომართვაში, ა/წ. 12 მაისის თარიღით (№ 824),

### დაადგინა:

- 1) დამტკიცდეს ზუგდიდის მაზრის 49 თემთა დაყოფის გეგმა იმ საზღვრებში, რომელნიც ვათვალისწინებულია მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პროექტში და
- 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკის სამილიციო განყოფილებას, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამ ართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

აღმინისტრ. ვად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი გრ. გველესიანი.

# ს ი რ კ უ ლ ი ა რ ა ლ

## ყველა მაზრის აღმასკომისა და კომისარ სადმი.

თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულებისა (იხ. „მოამბე“ № 4) კომისარიატთან არსებული საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილებას უნდა მოსდიოდეს ყველა მაზრის ფარგალში მომხდარ ბოროტმოქმედებათა ცხილი თვიური ანგარიშის სახით, საერთო ცხილის შესადგენათ. ასეთი ცნობები ადგილობრივმა მაზრის კომისარმა უნდა წარუდგინოს მაზრის აღმასკომის საინსტრუქტორ-საინფორმაციო ქვე განყოფილებას, რომელსაც ვალდებულია, დააღაგებს რა ამას სათანადო წესით თვის ბოლოს წარუდგენს შინ. საქ. სახ. კომ. საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილებას სტატისტიკური ცნობების შესადგენად.

ამისათვის წინადადება ეძლევა ყველა მაზრის აღმასკომს მოახდინოს განკარგულება, რათა ბოროტმოქმედებათა (ხაიათის, რაოდენობის, დროის და სხ მხედვით) მოძრაობის შესახებ ცნობები დროზე იქნეს წარდგენილი მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის საინსტრუქტორ-საინფორმაციო ქვეგანყოფილებაში, შინ გან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილებისათვის გადმოსაცხადდ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
სარია ა. გეგეჭკარი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილების გამგე შ. დადიანი.

# ს ი რ კ უ ლ ი ა რ ა ლ

## ყველა მაზრის, ქალაქის, სამხრეთ ოსეთის და აჭარისტანის აღმასრულებელი კომიტეტებისადმი.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტის № 3 ა/წ. 25 აპრილიდან (იხ. „მოამბე“ № 33) საქ. საბ. ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმის ბრძანების № 4 ა/წ. 13 აპრილიდან (იხ. „მოამბე“ № 33) და სახალხო კომისარიატის ა/წ. 13 მაისის ცირკულიარსა, რომელიც შეეხება წ თელ არმიელთა და მათი ოჯახების და პოლიტიკურ მუშაობისათვის ჯარში გაწვეულ დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის დახმარებას დამატებით ყველა ზევით ჩამოთვლილი დეკრეტისა და სხვ., თანახმად საქართველოს სახალხო კომისარიატისა საბჭოს ა/წ. 20 მაისის № 4, 734 ცირკულიარული მოპართვისა, ყველა მაზრის, ქალაქის, სამხრეთ ოსეთის და აჭარისტანის აღმა-

სრულებელ კომიტეტებს წინადადებას გაძლიერებული მოახდინონ განკარგულება, რათა ჯარში გაწვეულ პარტიულ ახანაგებს, რომელსაც უნდა მიეცეს ერთდროული დახმარებათ 500 000 შან. თითოს, (იხ. ბრძანება № 4 „მოამბე“ № 33), არამც და არამც ამ თანხიდან არ უნდა დაეჭიროს ის ვალეები, რომლებიც მოზილიზაციით გაწვეულ პირებზე ირიცხებიან და აქ აღნიშნული ნახევარი მილიონი უნდა გაიღოს დაწესებულებამ უკლებლივ.

ის პირობები, რომლებიც არ შეასრულებენ ზევით აღნიშნულ ბრძანებას პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
მოადგილე ტალახ ძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილების გამგე დადიანი.

1922 წ. მაისის 30.

# ს ა ვ ლ დ ე ბ უ ლ ო წ ე ს ა კ ი

## გამოცემული თანახმად საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭოს შუამდგომლობისა.

თანახმად დებულებისა საქართველოს მონადირეთა კავშირის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს რევკომის მიერ 30 ივლისს 1921 წლ. (მუხლი 9) ცხადდება საყურადღებოდ და აღსასრულებლად შემდეგი სავალდებულო წესები:

1. ყველა მოქალაქე, რომელსაც ჰსურს ნადირობა აწარმოვოს, ვალდებულია შევიდეს საქართველოს ს. ს. რ. მონადირეთა კავშირში (კავშირის სამაზრო და სხვა განყოფილებებში) და უსაწევრო ბილეთოდ ნადირობა არ აწარმოვოს.

2. 1-ლ ივლისამდე კავშირში არ შესული მონადირე ვალდებულია ჩააბაროს მთელი თავისი სანადირო თოფები და მასალა კავშირის ადგილობრივ განყოფილებას (თანახმად 5-ე დებულებისა).

3. ყველა გამყიდველები სანადირო თოფებისა, გამოუკლებლივ, როგორც კერძო პირები, აგრეთვე მალაზებიც მოვალენი არიან იქონიონ თვითფულ მათ მიერ ვას ყიდ თოფზე კავშირის ერთ-ერთ განყოფილებისაგან აღნიშნულ გაყიდვის უფლების განსაკუთრებული ნებართვა ურომლისოდაც თოფები ჩაყოფრთმევათ და გადაეცემათ კავშირის ადგილობრივ განყოფილებას.

4. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მონადირეთა კავშირის, როგორც საზოგადო სახალხო ორგანიზაციას, მის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

შინ. საქ. სახ. კომის. მოად. ტალახძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორ-საინფორმაციო

განყოფილების გამგე შ. დადიანი.



# სიკულისაკულად

## ყველა მაზრის აღმასკომს.

ამასთანავე გეგზავნებათ საანკეტო ფურცელი (ომში დაჭრილ დასახიჩრებულ-დაავათმყოფებულ მეომართა) 170 ცალი რომლის შესახებაც გაწვდით მოკლე ინსტრუქციას.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თვითეული ადგილობრაჲ ორგანო, თანახმად კომისარიატის განკარგულებისა, იბარებს რწმუნებულ რაიონს ინვალიდების, საანკეტო ფურცლების შესავსებლად.

2. შრომის უნარ დაკარგულების განსაზღვრას ახდენს საექიმო კომისია ან ადგილობრივი აღმასკომის ექიმი და თუ საექიმო კომისია, ან აღასკომის ექიმი იცნობს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულს შრომის უნარ დაკარგულად—40% ზევით, იმ შემთხვევაში იგი ავსებს საანკეტო ფურცლებს და საანკეტო ფურცლებთან ერთად ადგენს მოწმობებს, რომ იგი არის ნამდვალათ ომში დაჭრილ-დასახიჩრებული. თუ მას არ აღმოაჩნდა ეს უკანასკნელი მოწმობები, მაშინ ადგილობრივი აღმასკომი ადასტურებს სათანადო მოწმობით, რომელიც აგრეთვე უნდა დაერთოს საანკეტო ფურცელს.

3. ანკეტის შევსების დროს უნდა აღინიშნოს ინვალიდის ვრცელი მისამართი.

4. ინვალიდების რეგისტრაცია და ანკეტა უნდა დამთავრდეს არა უკვიანეს თუ ნახევრისა.

**შენიშვნა:** თუ აღმოჩნდება ისეთი ინვალიდები, რომელთაც ხელთ ექნებათ ექიმის მოწმობა შრომის უნარის დაკარგვის შესახებ ისინი ხელმოერთ აღარ შემოწმდებიან და მათზე არ ვრცელდება ამავე ინსტრუქციის მეორე მუხლში მოთავსებული წესი.

შინ. საქ. სახ. კომის. ა. გეგეჭკორი

შინაგან საქმეთა სახ. კომის. საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე დადებულიძე.

10 მაისი, 1922 წ.

სიკულიარული.

# ინსტრუქცია.

საქართველოში ლტოლვილთა მოზღვაების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც შესრულებულ უნდა იქნეს თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილებისა № 15.

მიმდინარე წლის 4 მაისის № 2 გაზეთ „პრავდა ზაკავაზაში“ გამოქვეყნებულ ს. ს. ს. რ. სა-

ხალხო კომისარიატის დადგენილების № 15 მ-4 მუხლის შესასრულებლად საქართველოში ლტოლვილთა მოზღვაების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს შემდეგ ინსტრუქციას:

### § 1.

წინადადება ეძლევა ყველა მოსახლურე აღმასკომებს მილიციის საშუალებით შეკრან საქართველოს საზღვრები.

### § 2.

რისთვისაც შემჩნეულ ადგილებში, სადაც ლტოლვილთა მომეტებული რიცხვის დენა ხდება ყოველი მოსახლურე აღმასკომი აწესებს თავიანთ უბანში მოსახლურე ხაზის დასაცავად მეთვალყურეობას, მილიციის საშუალებით.

### § 3.

საზღვრების დამცველ მილიციის თანამშრომელთა მოქმედების საკონტროლოთ შექნილ უნდა იქნას ყოველ სამაზრო აღმასკომებთან განსაკუთრებული საკანტროლო კომისიები შემდეგი შემადგენლობით: საქ. საგანგებო კომისიის და განსაკუთრებულ განყოფილების წარმომადგენელთაგან შემდგარი სათანადო მოსახლურე აღმასკომის პასუხის მგებელ წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

### § 4.

განსაკუთრებული საკონტროლო სამეულები ასწვრივი წესის მიხედვით ამ დარგში ექვემდებარება უშუალოდ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს და მოქმედობს მის პირდაპირ ხელმძღვანელობის ქვეშ.

### § 5.


თფილის ბაქოს რკინის გზის ხაზზე ფოილო-ხილთან და თფილის-ერევნის რკინის გზის ხაზზე სადს სადაზლოში საზღვრების მეთვალყურეობა ევალება ს. ს. ს. რ. რკინის გზის მილიციის.

### § 6.

რკინის გზის მილიციის თანამშრომელთა მოქმედებათა მეთვალყურეობა ევალება საქ. ცენტროვეაკს, თავიანთ დროებით რწმუნებულობის სახით, რომელნიც ინიშნებიან საქ. ცენტროვეაკის გამგის მიერ.

### § 7.

დანარჩენ მოსახლურე რკინის გზის ადგილებში მილიციის თანამშრომელთა მოქმედებების მეთვალყურეობა ევალება სათანადო სამაზრო აღმასკომებს, ბათუმში კი რწმუნებულებს, რომელიც დაინიშნება აჭარისტნის სახალხო კომისარიატის საბჭოს განკარგულებით.



§ 8.

ფაქტიურ კონტროლის უფრო მიზანშეწონილად განსახორციელებლად რკინის გზის ხაზზე, რკინის გზის მილიციის უფროსი ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან შეთანხმებით აწესებენ ადგილებს (პუნქტებს) სადაც უნდა შეჩერებულ იქნას მატარებელი.

§ 9.

საზღვრების დამცველ მილიციის თანამშრომელთა დანიშნულებაა დაუბრკოლებლივ შემოაშვას საქართველოში:

1) სამხედრო ნაწილების მცირე გუნდები უფროსის თანხლებით მომავალნი.

2) მოსამსახურენი, სამსახურის საქმეებზე გაგზავნილნი, ან შევებულებაში ყოფილნი, რომელთაც ექნებათ თან მანდატები საგუბერნიო აღმასკომების ან სამმართველოების და სამხედრო ნაწილების უფროსებისაგან მიცემული მათივე ხელის მოწერით.

3) ის პირნი, რომელნიც მოდიან სავაჭრო მიზნით და თან აქვთ მანდატი ხელმოწერილი საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

4) საქართველოში დაბრუნებული საქ. ს. ს. რ. მოქალაქენი.

5) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც საქართველოში ისე საქართველოს გზით (ტრანზიტით) შეიძლება გაშვებულ იქნან ლტოლვილნი, გადასახლებულნი, ინვალიდები და მუშები ცალკე ჯგუფებით მიმავალნი თუ ექნებათ თან დაწვრილებითი სიები საქ. ცენტროევაკის მიერ შემოწმებული და ვიზა დასმული რომლის საშუალებით უფლება ეძლევათ მათ საქართველოში შემოსვლისა.

§ 10.

წინა პარაგრაფის მე-5 მუხლში მოხსენებული დაწვრილებითი სიები წინასწარ ეგზავნება საქართველოს ცენტროევაკს იმ საგუბერნიო აღმასკომების მიერ საიდანაც სურთ წამოსვლა ამა თუ იმ კონტიგენტებს, სიებს თან უნდა ახლდეს მიმოწერა სათანადო მოტივებით დასაბუთებული. საქ. ცენტროევაკი აღნიშნულ სიების გადათვლიერებისას შეუთანხმებს რა თვის მოქმედებებს დაინტერესებულ უწყებებს ან წარმომადგენლობებს ასევე აღნიშნულ სიაზე სათანადო ვიზას, რის შემდეგ სიები იგზავნება დანიშნულებისამებრ.

§ 11.

იმ პირებმა, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც სურთ გამოიწერონ მათთან თავიანთი ნათესავები იმ შემთხვევაში თუ სურთ მათი თავიანთ მზრუნველობის ქვეშ აყვანა, უნდა აღძრან სათანადო შუამდგომლობა საქ. ცენტროევაკის წინაშე თუ ასეთი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნება, მთხოვნელებს საქართველოს ცენტროევაკის მიერ ეძლევა მოწმობა მათი ნათესავების საქართველოში შემო-

სვლისა, რომელიც უნდა გადაგზავნოს მთხოვნეულის მიერ საქართველოში შესვლის მოსურნემ.

§ 12.

დანარჩენი პირები, რომელთა შესახებ არ ყოფილა ლაპარაკი ამ ინსტრუქციაში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან შემოშვებული საქართველოში და თუ ასეთები მოადგებიან საქ. საზღვრებს, დაბრუნებულ უნდა იქნან უკანვე დაუყოვნებლივ.

§ 13.

მოსაზღვრე აღმასკომები და რკინის გზის მილიციის უფროსი მოვალენი არიან ამცნონ საქ. ცენტროევაკს ლტოლვილთა ყოველგვარი მოძრაობა ანუ შეჯგუფება მათ უზნების ფარგლებში მომხდარი: ის ადგილი საიდანაც არიან მოსულნი ესა თუ ის ჯგუფები ლტოლვილებისა, რიცხვი მამაკაცების, დედაკაცების, ბავშვების 16 წლამდის, მოხუცების 50 წელზე ზევით და ინვალიდების და მათი ნაციონალობა.

§ 14.

ყაზახის მაზრის ქოჩად მავალ მცხოვრებთ უფლება აქვთ როგორც საქართველოში, ისე საქართველოდან დაუბრკოლებლივ შემოსვლა-გასვლისა თუ კი ექნებათ თან სათანადო საბუთები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
გამგეჟკორი.

საქმეთა მმართველი ჩიქოვანი.

ცენტროევაკის გამგე კაკაბაძე..

მუშათა და გლეხთა ინსპექცია

საზოგადო ინსტრუქცია

ფულის დანახარჯის დოკუმენტალურ შემდგომის რევიზიის საწარმოებლად.

I.

ფულის დანახარჯის დოკუმენტალურ რევიზიის შესახებ საზოგადოდ.

ა) ფულის დანახარჯის დოკუმენტალურ რევიზიის მიზნი.

მუხ. 1. ფულის დანახარჯის დოკუმენტალურ რევიზია იმაში მდგომარეობს, რომ განადგობულ და გასამართლებელ საბუთების მიხედვით გამოირკვეს გაწეულ ან გასაწევ ფულის დანახარჯის კანონიერება და მიზანშეწონილობა.

მუხ. 2. დასახელებულ რევიზიის მთავარ მიზანს შეადგენს: 1) აცილება (დაწრობა) უკანონო და მიზანშეუწონელ ხარჯებისა; 2) დამნაშავეთა პასუხისმგებლობაში მიცემა იმ უკანონო და მიზანშეუწონელ ხარჯთა გაწევისათვის, რომელთაც ზარალი და ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს, და აგრეთვე სხვაგვარ ზეგავლენის საშუალებათა ხმარება და მათ შორის ზარალის და ზიანის ანაზღაურება.

მუხ. 3. იმის გასაგებად, თუ რამდენად კანონიერია ესა თუ ის დანახარჯი, ანუ ესა თუ ის განკარგულება, უნდა მტკიცეთ ვიხელმძღვანელოთ ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლების სათანადო დადგენილებებით და დეკრეტებით. ხოლო სხვა ორგანოების ყოველგვარი დადგენილებანი კი უნდა იქმნას შემოწმებული, რამდენად იგინი კანონიერია და რამდენად ეს ორგანოები აღჭურვილნი არიან იმ უფლებებით, რომელთა ძალთა იგინი ახდენენ განკარგულებას.

**შენიშვნა:** კანონებით, დეკრეტებით და განკარგულებებით სარგებლობა უნდა იყოს დაფუძნებული მათ საზოგადო თვისებისა და აზრის გაგებაზე.

მუხ. 4. ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა განკარგულებების და მოქმედებათა მიზანშეუწონილობის გასაგებად საჭიროა, ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობით, შეფასება იმის, თუ რამდენად ეს მათი განკარგულებანი და მოქმედებანი ეთანხმებიან იმ საზოგადო მიზნებს და საქმეებს, რომელთა მისაღწევად იგინი მოწოდებულნი არიან, და აგრეთვე იმის შეფასებაც, თუ რამდენად სასარგებლო და სახიერია ის საშუალებანი და ღონისძიებანი, რომელთა შემწეობით ხორციელდება ესა თუ ის განზრახული საქმე. ამ თვალსაზრისით, თვით დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ განკარგულებასთან, უნდა შეფასებულ იქმნას იმის მიხედვით, თუ რამდენად ეს გაწეული ხარჯი საჭიროა ყოფილა, სასარგებლო და დროული.

მუხ. 5. სარევიზიოდ დასახულ მიზნების განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი პირობები:

1) ანგარიშვალდებულ დაწესებულებათაგან ისეთი სრულის და იმ სახით მიღება დოკუმენტალურ მასალისა, რომ მისის მიხედვით შესაძლებელი იყოს სარევიზიო ხარჯთა კანონიერების და მიზანშეუწონილობის შესახებ დასკვნის მიცემა ადვილად და ყოველსავე ექვს გარეშე. (ხოლო თუ ეს მიღებული მასალა სრული არ არის, დაუყოვნებლივ მოთხოვნილ იქმნას იგი).

2) აღნიშნულ მასალის სწორი და ყოველმხრივი სარევიზიოდ შეფასება;

3) რევიზიის დროს აღმოჩენილ ხაზინისადმი მიყენებულ ზიანის და ზარალის რაოდენობის განსაზღვრა და მათ ანაზღაურებლად ინსპექციისაგან დამოკიდებულ ზომების მიღება;

4) როგორც დროზე მიღება საანგარიშო მასალისა, ისე დროზედვე მის რევიზიის მოხდენა.

მუხ. 6. ამ აღნიშნულ სპეციალ სარევიზიო მიზნების გარდა, გაღებულ ფულის რევიზიის მო-

ხდენის დროს, უნდა მხედველობაში ვიქონიოთ აგრეთვე სხვაგვარი მიზნებიც, მიზნები აღმშენებლობითი (მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულება, მუხ. 3, ასო „ზ“)

ბ) შესახებ კრედიტების, როგორც ფულის გაცემის საფუძველისა.

მუხ. 7. არავითარი ხარჯი არ შეიძლება გაწეულ იქმნას, თუ ამისათვის საკანონმდებლო წესით არ არის გახსნილი სათანადო კრედიტი, სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში გატარებული.

**შენიშვნა:** ამ წ-დან გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ხარჯის გასაწევად გაცემული განკარგულება დადასტურებულია სათანადო ხელისუფლებით და როდესაც ხარჯთ-გაწევის საჭიროება ექვს გარეშეა. ამგვარ შემთხვევაში მოთხოვნილ უნდა იქმნას განმკარგულებელ სამმართველოსაგან მხოლოდ ფორმალური მხრით ხარჯის მოწესრიგება.

მუხ. 8. ამა თუ იმ საგნისათვის გადადებული ხარჯი არსებითად უნდა სინამდვილით შეესაბამებოდეს კრედიტის დანიშნულებას, ე. ი. იმ საჭიროებაზე უნდა იყოს გაწეული, რომლისათვის განსაზღვრულია თვით საგასავლო მუხლში და სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში ანუ მის დამატებაში.

მუხ. 9 თავისუფლად ნაშთის გადატანა ერთსა და იმავე პარაგრაფის ფარგლებში მის ერთის რომლისავე ნაწილიდან მეორე ნაწილადის დანაკლისის დასაფარავად უნდა ხდებოდეს სათანადო სახალხო კომისარის განკარგულებით, რომელიც ამავე დროს უნდა ეცნობოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

მუხ. 10 გახსნილი კრედიტის აღდგენას შეიძლება, სახარჯთ-აღრიცხო კრედიტის მოქმედების განვლამდე, მოხმარდეს: 1) თანხები, რომლებიც გასავალში ზედმეტად იყო გამოწერილი; 2) თანხები, რომლებიც სესხის ანგარიშშია დაბრუნებული; 3) თანხები, რომლებიც უკანონოდ იყო გასავალში გამოწერილი რომელიმე კრედიტიდან, ხოლო, ხარჯის მიხედვით კი უნდა არსებითად სხვა წყაროდან ყოფილიყო გამოწერილი და 4) ის თანხები, რომლებიც, თუმცა კანონიერად იყო გასავალში გამოწერილი, ამა თუ იმ კრედიტიდან, მაგრამ მიმდებისათვის მიუცემლობის გამო, უკანვე იყო დაბრუნებული ხაზინაში. ხოლო სხვა ყოველგვარი შემოსავალი, ამ ოთხ შემთხვევის გარდა (და აგრეთვე იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც მომქმედ კანონმდებლითაა გათვალისწინებული), უნდა ჩაიწეროს ხაზინის შემოსავლად.

**შენიშვნა:** კრედიტისა და მის ტრიალის თავის დროზე ცნობაში მოსაყვანად, ინსპექცია ვალდებულია მოითხოვოს ანგარიშვალდებულ დაწესებულებათაგან, რათა მათ ყოველ თვიურად, თითოეულ თვისათვის ცალკე, წარმოუდგინონ ინსპექციას, სათანადო ხაზი-

ნის მიერ შემოწმებული, შესადარებელი სიე-  
ბი კრედიტთა ტრიალის შესახებ.

მუხ. 11. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა და  
და მის მიერ ნებადართული კრედიტები თავის ძ-  
ლას ჰკარგავენ კრედიტის მოქმედებისათვის დად  
გენილ ვადის დაწყებისას.

**გ) გასანაღდებელი საბუთები.**

მუხ. 12. დაწესებულებანი და პირნი, რომელ-  
თაც ფული სახალხო ხაზინიდან ეძლევათ, უნდა ეს  
ფული, ზემოაღნიშნულ საფუძვლებით, მიიღონ  
გასანაღდებელ საბუთებით, ასიგნებით და ჩეკებით.

მუხ. 13. სხვა და სხვა ხარჯგასაწევ ოპერაცი-  
ათა მიხედვით ასიგნები ასრულებენ სხვა და სხვა  
ხარჯგასაწევ დანიშნულებას. ამ მხრივ გასარჩევია  
სამგვარი ხასიათის ასიგნი: პირდაპირი, საავანსო და  
გადასარიცხი.

მუხ. 14. პირდაპირი და საავანსო ას გნებით  
ფული ნამდვილად ეძლევათ როგორც იმ დაწესე-  
ბულებათ და პირთ, რომელთაც შეასრულებს თავის  
თავზე აღებული რაიმე ვალდებულება სახელმწიფო-  
სადმი, ისე იმათაც, რომელთაც თუმცა ეს თავისი  
ვალდებულება არ შეუსრულებიათ და გასამჯელოს  
კი წინდაწინვე იღებენ, მაგრამ ვალდებულები კი  
არიან შემდეგში წარმოადგინონ ანგარიში ნამდვი-  
ლად გაწეულ თავის ხარჯებისა; ხოლო გადასარი-  
ცხო ასიგნებით ფული ნამდვილად კი არ გაიცემა,  
არამედ მხოლოდ გადაირიცხება (გადაიწერება) მათ-  
ში აღნიშნული თანხები ერთი კომისარიატის საგა-  
სავლო ხარჯთ-აღრიცხვადან მეორე კომისარიატის  
საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვაში (გამონაკლისის სეს-  
ხის დროს).

მუხ. 15. ასიგნები უნდა შედგენილ იქმნას  
ხარჯთ-აღრიცხვის თითოეულ მუხლის მიხედვით და  
ერთი პირის სახელზე, ამის და დამოუკიდებლად,  
ასიგნები შეიძლება შედგენილ იქმნას ხაზინის პირ-  
დაპირი კრედიტორის სახელზე და დაწესებულების  
მიერ დანიშნულ რწმუნებულის სახელზე. ამ შემ-  
თხვევაში პირველი ასიგნები კერძო ასიგნები იქნე-  
ბა, ხოლო მეორე ასიგნები — შემკრებელობითი (მაგ.  
მოსამსახურეთა, მუშათა და სხვათა დასაკმაყო-  
ფილებლად).

მუხ. 16. ასიგნის თითოეული ბლანკი სამი ნა-  
წილიდან შესდგება: ყდიდან, ასიგნიდან და ტალო-  
ნიდან. ყდა დანიშნულია ასიგნის ზონარგასაყრე-  
ლად ანუ შესაკინძავათ და უნდა სამმართველოში  
რჩებოდეს; შუა ნაწილს ანუ თვით ასიგნს ორდე-  
რის (ბრძანების) დანიშნულება აქვს და სალოროში

უნდა იგზავნებოდეს ასიგნში აღნიშნულ პირისა-  
თვის ფულის მისაცემად, ანუ — გადასარიცხვით  
რაციების დროს — შესაფერ თანხის შესატანად სა-  
თანადო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში; მესამე  
ნაწილი კი — ტალონი უნდა ჩაბარდეს ფულის მიმ-  
ღებს პირს, ანუ — ფულის გადაირიცხვისას რჩებო-  
დეს თვით ასიგნთანვე.


მუხ. 17. ასიგნზე ნაჩვენები უნდა იყოს: სა-  
ხარჯთაღრიცხო დრო, პარაგრაფი, მუხლი და ხარ-  
ჯთ-აღრიცხვის სხვა ნაწილადი; ხოლო თვით ასიგ-  
ნის ტექსტში კი — ვისგან და რა თანხის ასიგნია  
მიცემული, ვის და სახელდობრ რისთვის ეძლევა  
ფული, ხოლო თუ ფულის რაიმე ნაწილის დაჭერაა  
საჭირო — სახელდობრ რამდენი უნდა დაეჭიროს და  
სად გაიგზავნოს.

მუხ. 18. ფულის გადახდა მიმდინარე ანგარი-  
შებიდან ჩეკებით უნდა ხდებოდეს, ანუ მათ სა-  
ნაცვლო გასანაღდებელ საბუთებით. ჩეკებში ნაჩვე-  
ნები უნდა იყოს: მიმდინარე ანგარიშის ნომერი,  
დრო ჩეკის გაცემისა, განმკარგულბელ სამმართვე-  
ლოს ეურნალით ნომერი ჩეკისა, სახელწოდება  
ხარჯთ-აღრიცხვისა და იმ სახარჯთაღრიცხო ნაწი-  
ლადისა, საიდანაც ხარჯი უნდა იყოს გასტუმრე-  
ბული, პირი, რომელსაც უწევს ფულის მიღება,  
თანხა და საგანი ხარჯისა. ჩეკზე უნდა იყოს დას-  
მული დაწესებულების ბეჭედი და ჰქონდეს მას სა-  
თანადო ხელისმოწერა.

**შენიშვნა:** იმ მოსაზრებით, რომ მიცე-  
მული თანხები არ აირიოს ერთს მიმდინარე  
ანგარიშზე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა  
და იმავე დაწესებულებას ანუ პირს ფული  
ეძლევა სახარჯთ-აღრიცხო სხვა და სხვა ნა-  
წილებიდან, საჭიროა, მე-18 მუხლში ნაჩვე-  
ნებ წესის დასაცავად, ცალკე მიმდინარე ან-  
გარიში იხსნებოდეს თანხათა თითოეულ კატე-  
გორიისათვის, სახარჯთაღრიცხო წყაროსთან  
შეფარდებით.

**დ) განაღდებულ საბუთების საკასო რევიზია.**

მუხ. 19. განაღდებულ ხარჯთა რევიზია უნდა  
იწყებოდეს საკასო რევიზიით. ეს რევიზია უნდა  
იყოს საბუხალტერო რევიზია, რომელიც უნდა უჩ-  
ვენებდეს — რამდენად წესიერად ყოფილა შედგენი-  
ლი განაღდებული საბუთი, რამდენად სწორეთ ყო-  
ფილა თითოეულ კრედიტზე მიწერილი ხარჯი, რამ-  
დენად ერთმანეთს ეთანხმება განაღდებული და გა-  
სამართლებელი საბუთები და სხ.



მუხ. 20. იმის გასაგებად, თუ რამდენად კანონიერად უნდა ჩაითვალოს ასიგნის შედგენა, საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი პირობები:

1) ასიგნს უნდა ჰქონდეს ასიგნის მიმცემ დაწესებულებას საბუხალტრო ან გასულ ჟურნალის ნომერი, სათანადო პირის მიერ ხელის მოწერა და დადასტურება ბუხალტრისა ანუ ასიგნის შემდგენისა.

2) ასიგნში უნდა იყოს ნაჩვენები: ვისგან, ვის სახელზე და რომელ სალაროზეა გაცემული ასიგნი, გასანაღდებელ თანხის ღრძ, საგანი და რაოდენობა, სახარჯთ-აღრიცხო ხანა, ხარჯთ-აღრიცხვის პარაგრაფი, მუხლი და პუნქტი.

3) ასიგნი იმ სალაროზე უნდა იყოს გაცემული, რომელსაც აქვს გახსნილი კრედიტი ასიგნში მოხსენებულ ხარჯის გასაწევად.

4) როდესაც ერთგვარ საგნების მიღებისათვისაა ფული მისაცემი, ასიგნი შეიძლება შედგენილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვის რამდენსამე მუხლადაც, მხოლოდ მასში აუცილებლად უნდა იყოს ნაჩვენები—სახელდობრ ხარჯთ-აღრიცხვის რომელსა და რომელს მუხლს მიეკუთვნება მისაცემი ფული და თითულ მუხლს რა ნაწილი უწევს გარდასახდელი ფულისა.

5) თუ ვინცობა ასიგნით მოთხოვნილ ფულის ნაწილი უნდა იქმნეს დაჭერილი, ასიგნში ნაჩვენები უნდა იყოს, რამდენია დასაჭერი ფული და სად უნდა გაიგზავნოს იგი.

6. ასიგნში უნდა იყოს ნაჩვენები ხარჯად გამოსაწერ ფულის საერთო თანხა, ე. ი. ხელზე მისაცემიც და დასაჭერიც ერთად, და ეს თანხა უნდა იყოს ასიგნში ჩაწერილი სიტყვითაც და ციფრითაც.

7) დასკვნა მიცემულ ხარჯთ-აღრიცხვის ასიგნებში უნდა იყოს სათანადო მითითება იმ მუხლზე, სადაც სიებითაა ჩამოთვლილი ხაზინის კრედიტორები.

8) ასიგნში არსად არ უნდა იყვეს რა ამოფხეილი; ხოლო თუ მასში შესწორებულია რამ, ეს თვით ასიგნშივე უნდა იყვეს განმარტებული.

მუხ. 21. ასიგნი უნდა იყვეს შედგენილი ერთი პირის სახელზე; კერძო ხაზინის კრედიტორის სახელზე; კერძო ასიგნები შეიძლება შედგენილ იქმნას აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და საზოგადოებათა და სხვ. სახელზე, რომელნიც ასიგნის ტალონზე წარწერით ავალდებნ მათ მიერ რწმუნებულ პირთ ფულის მიღებას (შემრკებლობითი ასიგნი—დაწესებულების რწმუნებულის სახელზე).

მუხ. 22. ასიგნში მოხსენებულ ხარჯს უნდა გაღებულ იქმნას იმ სახარჯთაღრიცხო ნაწილიდან, რომლის სახელწოდება შეეფერება ხარჯის ხასიათს და იმ წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან, რომელსაც არსებითად უნდა მიეკუთვნოს გასაწევი ხარჯი.

მუხ. 23. ასიგნში ნაჩვენებ ხარჯის გასაწევად უნდა არსებობდეს საკმაო კრედიტი იმ პარაგრაფით და მუხლით, საიდანაც ხარჯი უნდა იყვეს გაღებული.

მუხ. 24. სათანადო ნებართვაა საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ვინცობა ხარჯის გაწევა დაკავშირებულია პარაგრაფის ერთი რომლისაზე მუხლის ნაშთის გადარიცხვასთან მეორე მუხლის ნაკლის დასაფარავად (მუხ. 9).

მუხ. 25. კრედიტის ვადის დასრულებისას ასიგნებით ხარჯთა-გაწევა აღარ შეიძლება მოხდეს.


მუხ. 26. საჭირო ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა დაწესებულებებსა და სახარჯთ აღრიცხო წესით კრედიტების მიმღებ სახელმწიფო წარმოებათა შორის ანგარიშთა გასწორება ხდებოდეს, თანახმად ანგარიშგასწორებულ ოპერაციათა შესახებ გამოცემულ დეკრეტისა, იმ გზით, რომ თანხები გადარიცხოს ხაზინის შემოსავლად გადასარიცხი ასიგნით ანუ ჩეკებით; ხოლო იმ წარმოებებთან, რომელთაც კრედიტი ეძლევათ არა სახარჯთ-აღრიცხო წესით, ანგარიშთა გასწორება ხდებოდეს ამ წარმოებათა მიმდინარე ანგარიშებზე თანხების გადარიცხვით.

მუხ. 27. არ უნდა ხდებოდეს (ვალად აღების გარდა) თანხების გადარიცხვა ერთი რომელისამე სამმართველოს საგასავლო ხარჯთ-აღრიცხვიდან მეორე სამმართველოს საგასავლო ხარჯთ-აღრიცხვაში მის კრედიტის გასადიდებლად, და არც ერთი რომლისამე წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან მეორე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

**შენიშვნა:** ცალკე ინსტრუქციაში ნაჩვენები დაწვრილებითი წესი, თუ როგორ უნდა ხდებოდეს როგორც ფინანსთა კომისარიატის შესავალ-გასავლის სალაროების ანგარიშთა საბუხალტრო-საკასო რევიზია, ისე სხვა სალაროებსაც, და აგრეთვე როგორ უნდა შეფარდებულ იქმნას ეს ანგარიშები საშემოსავლო ანუ გასანაღდებელ საბუთებთან.

ე) ხარჯთ-გადახდის რევიზია არსებითად.

მუხ. 28. მიზანი ხარჯ-გადახდის არსებითად რევიზიის მოხდენის იმაში მდგომარეობს, რომ და-



დასტურდეს: 1) რამდენად კანონიერი იყო თვით მოთხოვნის და, რომელმაც ხარჯი გამოიწვია; 2) რამდენად დასჯილი იყო მოთხოვნის დასაწერიანად ცნობისათვის დადგენილი ამის შესახებ წესი; 3) რამდენად მიზანშეწონილი იყო გაწეული ხარჯები და რამდენად სახიროდ და ყარათანად იყო ამისათვის ნახშირი საშეღებანი და 4) ნამდვილად არსებობდა თუ არა ხარჯგამომწვევი მოთხოვნის და.

მუხ. 29. ხარჯვადახდის არსებითად რევიზია უნდა უშუალოდ განხორციელებულ იქმნას ანგარიშვადებულ დაწესებულებათა და პირთა მიერ გაწეულ ხარჯთა გასაპართლებელ საბუთების განხილვით და მათი სარევიზიო შეფასებით. ამასთანავე საქირაების მიხედვით, უნდა მივიშველიოთ ფაქტორი რევიზიაც.

მუხ. 30. თვით მოთხოვნის ამ ხარჯის საგნის შემოწმებისათვის საქირა დადასტურება:

- 1) რომ ხარჯის საგანი ნებადართული არსებულ კანონით ან სხვა რაიმე კანონიერ გზით;
- 2) რომ ამ შემთხვევაში და ამ ჟამად ნამდვილად არსებობს ის მოთხოვნის და, რომელიც, კანონის ძალით, ხარჯის საგნად შეიძლება გახდეს და
- 3) რომ სწორედა გამოანგარიშებული მოთხოვნის დაზე გაწეულ ხარჯზე რაოდენობა.

მუხ. 31. ამა თუ იმ მოთხოვნის სინამდვილეში დასარწმუნებლად არსებობს განსაზღვრული წესი, რომლითაც უნდა დადასტურდეს:

- 1) რომ ხარჯის გაწევა ნებადართული ყოფილა იმ ხელისუფლებიდან, რომელმაც ამის ნება ჰქონდა;
- 2) რომ მოთხოვნის არსებობაში დასარწმუნებლად არჩეული საშუალებანი და წესი შესაბამება სათანადო კანონმდებლობაში ნაჩვენებ წესებს და
- 3) რომ სათანადო ხარჯი გაღებულია სწორი რაოდენობით და დაწესებულს ვადებში.

მუხ. 32. თითოეულ ცალკე შემთხვევაში საფუძველი მიზანშეწონილობის ვადებისათვის უნდა გამოიძინარეოდეს მთელი სარევიზიო მუშაობის მსვლელობიდან, მის ცალკე ელემენტებიდან.

მუხ. 33. ამა თუ იმ მოთხოვნის სინამდვილეში დასარწმუნებლად უნდა შემოწმებულ იქმნას გაწეული ხარჯები მიძღებთა ხელწერილები და

საქმითო ბარათებით, შემოწმების აქტებით და სარევიზიოდ წარმოდგენილ სხვა საბუთებით. მუხ. 34. არსებითად რევიზიის ხასიათი და მოკიდებულია ხარჯდასწვე მოთხოვნის დათა სხვა და სხვაობაზე. ამ მხრივ არსებითად მოსახდენი რევიზია შეიძლება ორგვარი იყეს: რევიზია საორგანიზაციო ხარჯების და რევიზია საორგანიზაციო ხარჯებისა.

მუხ. 35. საორგანიზაციო ხარჯთა რევიზიის ექუთნის რევიზია პირადშემადგენლობაზე შესახებ ხარჯების და რევიზია სამეურნეო ხარჯებისა; ხოლო საორგანიზაციო ხარჯთა რევიზიის რევიზია შენობებზე, ჩაბარებებზე, დამზადებებზე და ნასყიდობებზე გაწეულ ხარჯებისა.

მუხ. 36. შემოაღნიშნულ მუხლში მოხსენებულ სხვა და სხვაგვარ ხარჯთა რევიზიის დროს უნდა ვიხედმძღვანელოთ, როგორც საერთო კანონმდებლობით, ისე იმ კანონმდებლობაც, რომელიც სპეციალურად დაგებაზე ამა თუ იმ სარევიზიო მოქმედებას და განკარგულებებსა. ხოლო ამ ხარჯთა შესახებ მიზანშეწონილობის დასკვნის გამოსავნად უნდა დაწერილებით შევისწავლოთ თვით უფლები ანგარიშვადებულ დაწესებულებათა და კავებნოთ მათ არსებითად.

II.

ფულის დახასრჯის შემდგომი რევიზია.

ა) აღნიშნულ რევიზიის მიზნები.


მუხ. 37. გაწეულ ხარჯთა შემდგომი რევიზია მდგომარეობს იმაში, რომ ანგარიშვადებულ დაწესებულებათა და პირთა მიერ შესრულებულნი მოქმედებანი შემოწმებულ იქმნას ხარჯდასწველი და მათი გასაპართლებელი საბუთებით.

მუხ. 38. გაწეულ ხარჯთა შემდგომი რევიზიის წარმოების დროს ხდება შეფარდება მატერიალურ, ინვეტიარულ და ტენიკურ ანგარიშების რევიზიის შედეგებთან.

მუხ. 39. ფულის დანახარჯის შემდგომი რევიზიის წარმოების დროს უშუალოდ უნდა ვეცალოთ გამოვარკვიოთ მიზეზები იმ უწყისების და იმ პირებისა, რომლებიც ბოროტ-მოქმედებს ბადავენ, ხოლო შემდგომ, ფაქტორი რევიზიის წესით, უნდა მივილოთ ზომები ამ მიზეზების და პირების ასაცილებლად, სათანადო შეცვლოთ მუშაობის წარმოების საშუალებანი და გავაუმჯობესოთ მეურნეობის წარმოების სისტემა და სხვ.

მუხ. 40. ფულის დანახარჯის შემდგომი რევიზიის წარმოებას უნდა შევედგეთ ხარჯთა გაწევის უშუალო (ასიგნის ანუ ჩყის შესრულების შემდეგ) და ამასთანავე უნდა დავიცვათ წინასწარ და ფაქტორი რევიზიის შესახებ წესთა მე-5 მუხლის მოთხოვნაც.





დ) ზ ა რ ა ლ ი .

მუხ. 41. ფულის ანგარიშთა შემდგომი რევიზია, როგორც საკასო, ისე არსებითადაც, უნდა სწარმოებდეს იმავე საფუძვლებით, რომლებიც ნაჩვენებია ამ ინსტრუქციის 1 ლ განყოფილებაში.

ბ) სამავალითოდ აღებულის რევიზია.

მუხ. 42. შემდგომი რევიზიის წარმოების დროს, სარევიზიო ძალთა რაოდენობის კვალობაზე, იმ მიზნით, რომ უფრო ნაყოფიერად გამოიყენოთ ეს ძალები, ზოგიერთ შემთხვევებში, ნაცულად მთლიანი რევიზიისა, შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ სამავალითოდ აღებულის რევიზიაც.

მუხ. 43. სამავალითოდ აღებულის რევიზია უნდა განხორციელდეს წინააღმდეგ შემთხვევებულ გეგმით. ამ გეგმის შედგენისას დიდი სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ურევიზიოდ დარჩენილ ტრიალთა რიცხვში არ დარჩეს ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია ხაზინისადმი მიყენებულ ზიანთან, ძარცვასთან და ბოროტ-მოქმედებისთან.

მუხ. 44. სამავალითოდ აღებულის ამა თუ იმ ტრიალის რევიზიის დანიშნა უნდა მოხდეს მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ნებადართვით.

გ) რევიზიის ვადები.

მუხ. 45. ფულისა და ნივთიერ თანხათა ტრიალის შესახებ ინსპექციაში შემოსულ ანგარიშთა შემდგომის რევიზიის მოსახდენათ, უნდა დატულ იქნას ასეთი ვადები: 1) სამოქალაქო წლის ანუ სახარჯთ-აღრიცხვა დროისა საანგარიშო წლის შემდეგ არა უგვიანეს მეორე წლის დასრულებისა, ანუ იმ წლისა, რომელშიც სახელწოდება მისცა სახარჯთ-აღრიცხვა დროს; ხოლო 2) სააღმშენებლო და კრედიტორთა სიებით ვაგრძელებულ კრედიტების ტრიალისა არა უგვიანეს ექვსი თვისა, დღიდან ამ კრედიტთა მოქმედების დასრულებისა.

მუხ. 46. ის ტრიალი, რომელიც რევიზიის დამთავრებისას, რევიზია მოუხდენელი დარჩება რაიმე მიზეზით (მავალითად მოთხოვნილ საბუთებისა და განმარტებათა წარმოუდგენლობისა გამო), ითვლება, მის საბოლოო შემოწმებამდე, დაუმტკიცებლად; ხოლო რამდენადაც ამ ტრიალს რევიზია გაუკეთდება, მის შესახებ რევიზიის დასკვნისათვის უნდა წარმოდგენილ იქნას დამატებითი მოხსენებები და თანაც ნაჩვენები იყოს დასასკვნელი და შემდგომის რევიზიისათვის ღიად დარჩენილი ტრიალი.

მუხ. 47 ანგარიშვალდებულ დაწესებულებებში და პართა უკანონო და მიზანშეუწონელ მოქმედებების მიზეზით რესპუბლიკისადმი მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურებულ იქნას იმის და მოუკიდებლათ, ეს ზარალი ბოროტ-მოქმედებითა მიყენებული, თუ დაუდევრობით და უყურადღებობით.

მუხ. 48. სარევიზიო წესით მხოლოდ იმ ზარალის ანაზღაურება თვადება რესპუბლიკის ხაზინას, რომელიც ან სტიქიურადაა მიყენებული, ან და იმანიარ შემთხვევით, როდესაც გამოასჯარავდება რომ შეუძლებელი იყო ან ამ ზარალის გათვალისწინება ან და მის ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღება.

მუხ. 49. რევიზიით დადებულ ანგარიშდანიკლისთა აღკვეცა იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი არ იქნებიან თანახმად მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებისა, აგრეთვე ანგარიშიდან ჩამოწრა მთლიანად ანუ ნაწილობრივ იმ ზარალისა, რომელიც მიყენებულია უკანონო მოქმედებებით, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოში განჩინებით თანახმად დამნაშავეთა საჩივრისა, ან საძიებელ წესით.

მუხ. 50. ჯამაგირიდან ფულის დაქვრა მხოლოდ იმ წესით უნდა მოხდეს, რომელიც შრომის შესახებ კოდექსითაა დადგენილი.

ე) შემდგომას რევიზიის შესახებ საქმას წარმოება.

მუხ. 51. მოხდენილ რევიზიის შედეგი შეიძლება სამგვარი იყოს: 1) ფულს გაღება შეიძლება იყოს ცნობილი ყოველხარავ კანონიერად და მიზანშეუწონილად; 2) ხარჯთა გაღება შეიძლება მოითხოვდეს ცნობების და შემდგომის განმარტებების მიღებას და 3) ფულის მიცემა შეიძლება ცნობილ იქნას ან უკანონოდ, ან მიზანშეუწონელად, ანუ ერთსა და იმავე დროს—უკანონოდაც და მიზანშეუწონელადაც.

მუხ. 52. ზემოაღნიშნულ პირველ შემთხვევაში რევიზიის მომხდენი პირი სათანადო წარწერას უკეთებს გასანაღდებელ საბუთს და თავის ხელის მოწერით მას ადასტურებს; მეორე და მესამე შემთხვევებში კი ყველაფერი, რაც კი აღმოჩნდება ანგარიშვალდებულ სამართველოთა კანონთან შეუთანხმებელი ან მიზანშეუწონელი რამ მოქმედებანი

აგრეთვე რაც კი რევიზიის დროს აღიძვრება რაიმე საკითხები, გაუგებრობა ან საეჭვო რაიმე ან და ვინიცობაა სრულებით არ აღმოჩნდება ხარჯ-გასამართლებელი საბუთები ან მათ აკლდება რაიმე უნდა შეტანილ იქნას სარევიზიო — აღმსახველ რეესტრში.

**შენიშვნა:** ხსენებულ რეესტრების გარდა შემდგომის, რევიზიის შედეგებს რეესტრაცია უნდა ექმნას თვალსადავებელ სხვა რეესტრებსა და სიებშიც, თანახმად ცალკე ამაზე გამოცემულ ფორმებისა.

**მუხ. 53.** აღმსახველ რეესტრებში შეიტანება მხოლოდ: 1) ის შენიშვნები, რომელთა შესახებ, ყოველგვარ ცნობათა და განმარტებათა მიღებისას, მაინც საჭიროდ აღმოჩნდება ფულის მიცემის განსამარტებლად მიმართვის გაგზავნა, ანუ 2) ის შენიშვნები, რომლებიც ისეთს აშკარა უწყსობას გხვდება, რომ მათ შესახებ განსამარტებელი ცნობების ბილება საჭიროდ აღარ ითვლება.

ამ შენიშვნებში უპირველესად ყოვლისა უნდა იყვეს ნაჩვენები ფულის სათანადო განაღდების ნომერი და თარიღი, გასანაღდებელ საბუთის იარაღისა და ნომრის მითითებით და აგრეთვე იმის ჩვენებით თუ ვისთვის ან რაზე გაწეული დანახარჯი ითვლება უკანონოდ ან უყარათოდ გაწეულად, მთელი თანხით თუ მარტო მის ნაწილით; უკანასკნელ შემთხვევაში გამოანგარიშება უნდა მოახდინოს რევიზიის მწარმოებელმა დაწესებულებამ შენიშვნების ბოლოში უნდა გამოყვანილ იქმნას ნაანგარიშე თანხის ზედმეტი გაღება, ანუ ზარალის რაოდენობა და ეს თანხა გასანაღდებლად იქმნას ცნობილი.

**შენიშვნა:** თუ ვინიცობაა, სარევიზიო პროცესის აღძვრის ჟამს, სისწორით ვერ იქნება გამოანგარიშებური ზარალის რაოდენობა, ამ უკანასკნელის გამორკვევამდე, აღმსახველი რეესტრი იგზავნება გასანაღდებელ თანხის უჩვენებლადაც.

**მუხ. 54.** აღმსახველ რეესტრების გარდა, უნდა შედგენილ იქმნას ცალკე მიმართვებიც რევიზიის დროს აღძრულ კითხვების და შენიშვნათა შესახებ, თუ ამას მოითხოვს მათი მნიშვნელობა, სირთულე და სისწრაფე. ამ მიმართულების შესახებ სარევიზიო ჟურნალში, ჟურნალი სათანადო მუხლის პირდაპირ, უნდა გაუკეთდეს მცირე შენიშვნა სადაც აღინიშნება თარიღი და ნომერი მიმართვისა.

**მუხ. 55.** შემოსული დამატებით გასამართ-

ლებელი საბუთები და აგრეთვე ცნობები და განმარტებები, მათი წარმოდგენისათხავე, ინსპექციამ უნდა განიხილოს და შეამოწმოს. თუ გამოგზავნილი საბუთები და განმარტებები იმდენად საკმაოდ აღმოჩნდება, რომ შემოწმება და დადებითი დასკვნის მიცემა შესაძლებელი გახდება — ხარჯის გაღება მტკიცდება. ხოლო თუ ვინიცობაა წარმოდგენილი საბუთები და განმარტებები იმნაირ გარემოებებს აღმოაჩენენ, რომელთა ძალით ანგარიშდანიაკლისი უნდა იქმნეს დადებული, ინსპექციის დაწესებულება აცნობებს სათანადო სამმართველოს, რომ მან გადაახდევინოს ვისაც ჯერ არს ინსპექციის მიერ დადებული საზღაური. თუ ინსპექციას არ დაეთანხმა ანგარიშვალდებული დაწესებულება ანუ პირი, საქმე გადაეცემა სასამართლოს ერთი თვის ვადაში დლიდან გადახდევინების შესახებ ცნობის მიღებისა. ხოლო თუ ვადა გადაცილებული იქმნა, ინსპექციის მოთხოვნა კანონიერ ძალაში შედის. ამიტომ რევიზიის დროს საჭიროა, სასტიკი თვალყური ედევნოს აღნიშნულ ვადის შესრულებას.

**ვ) რევიზიის დასკვნა.**

**მუხ. 56.** ინსპექციის სარევიზიო მოქმედების დასკვნის აქტი იმაში მდგომარეობს, რომ რევიზიის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც აღმასრულებელთა (ე. ი. სალაროების), ისე განმკარგულებელთა შემოწმებულ მოქმედებებთან; განხილულ და დამტკიცებულ იქმნას და ეცნობოს ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა მთავრობას.

**მუხ. 57.** ანგარიშთა რევიზიის დასკვნის შესახებ ცალკე მოხსენებებს ურდგენენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ცენტრალურ და ადგილობრივ განყოფილებათა გამგენი; ეს მოხსენებები უნდა შედგენილ იქმნეს თვითეულ ცალკე სახარჯთ-აღრიცხვო ხანაზე. ამ მოხსენებათა სათანადო სვეტებში უნდა შეტანილ იქმნას შემდეგი ცნობები: 1) რევიზიის მწარმოებელ პირთა ვინაობა; 2) იმ ანგარიშვალდებულ სამმართველოთა ანუ სალაროთა სახელწოდება, რომელთა ტრიალის შესახებ განზრახულია სარევიზიო დასკვნის მიცემა; 3) რომელი წლების ხარჯთ-აღრიცხვების ტრიალი იქმნას შემოწმებული; 4) სახარჯთაღრიცხვო დროის განმავლობაში სათანადო სამმართველოს განკარგულებაში არსებულ კრედიტის ჯამი (ამ ჯამში უნდა შედიოდეს კრედიტის ყოველგვარი მოძრაობა და აღდგენა) 5) დახარჯულ კრედიტის ჯამი; 6) შემოწმებულ ტრიალთა ჯამი შემდგენიარად

დანაწილებული: ა) რევიზიის დროს წესიერად და დასამტკიცებლად ცნობილი ტრიალი; ბ) ანგარიშ-დანაკლისად ცნობილი ტრიალი იმის ჩვენებით, თუ რომელი დანაკლისი უკვე შევსებულია და რომელი ჯერ კიდევ არაა შევსებული; გ) დაუმტკიცებლად დატოვებული ტრიალი იმ მიზეზით, რომ მოთხოვნილი საბუთები, ცნობები და სხვა ჯერ არ მიღებულია; 7) გაგრძელებულ სააღმშენებლო კრედიტის ჯამი; 8) ხაზინის კრედიტორთა სახელობით სიებში გადატანილ კრედიტის ჯამი და 9) დახურული კრედიტი.

**შენიშვნა:** სარევიზიო დასკვნის მოხსენებაში, აღნიშნულ ცნობათა გარდა, უნდა ნაჩვენები იყვეს: ა) საერთო ჯამი იმ ანგარიშთა ტრიალისა, რომელთა შესახებ გატარებულ იქმნას სამაგალითოდ აღებული სი-სტემა (იმის ჩვენებით, თუ რა მოსაზრებით და რა გეგმით მოხდა ასეთი რევიზია); ბ) სამაგალითოდ აღებული სი-სტემის რევიზიის დროს შემოწმებულ ტრიალთა ჯამი და ამგვარ რევიზიის შედეგები.

მუხ. 58. მოხსენებებს თანდართული უნდა ჰქონდეს დამატებები (ნუსხები), რომლებშიც უნდა იყვეს მოქცეული ისეთი ცნობები, რომლებიც მოთხოვნილია ამა ინსტრუქციის 57 მუხლით).

მუხ. 59. იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად წესიერად ყოფილა ნაწარმოები რევიზია, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია, ვიდრე საბოლოოდ დაამტკიცებდეს წარმოდგენილ მოხსენებებს და გამოიტანდეს რევიზიის დასკვნის შესახებ თავის დადგენილებას ავალებს ერთ-ერთს თავის პასუხისმგებელს თანამშრომელს მოახდინოს ანგარიშის ხელახალი შემოწმება. ადგილობრივ განყოფილებათა მოხსენებების ხელახალი შემოწმება ხდება ადგილობრივ მივლინებულ პირთა მიერ. ხელახლა შემოწმების დროს, შემოწმებელი იღებს, თავის შეხედულობით, რამდენსამე განაღდებულ საბუთს და თვითეულ ანგარიშიდან უპირატესად უფრო მოადიდა თანხებს და უფრო მნიშვნელოვან დანახარჯზე. გადამოწმებისას, ხელახლა შემოწმებელი თავის მოხსენებებზე საკუთარ ხელ-მოწერით აღნიშნავს იმას, თუ რომელი განაღდებული საბუთები იქმნა მის მიერ ხელახლად შემოწმებული და წესიერების მხრივ, რა აღმოაჩინა ამ შემოწმებისას ნაწარმოებმა რევიზიამ.

მუხ. 60. თუ ვინიცობაა ხელახლად შემოწმებისას, აღმოჩნდება ნაწარმოებ რევიზიის რაიმე ნაკლი, დეფექტი, დაუთავრებლობა, ანუ უწესობა, ე. ი. თუ ვინიცობაა რევიზორს წარმოუდგენია

დასამტკიცებლად ისეთი ტრიალი, რომელიც უნდა შეიძლებოდეს ცნობილიყო როგორც წესიერად ნაწარმოები, კოლეგიის დანიშვნით და მის მიერვე ნაჩვენებ ფარგლებში უნდა მოხდეს დასასკვნელად წარმოდგენილ ანგარიშის მეორეჯერ რევიზია, და ეს მეორეჯერ მოსახდენი რევიზია უნდა მიენდოს იმ პირს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პირვანდელ რევიზიაში.

მუხ. 61. თუ რევიზია ისე დამთავრდა, რომ იგი ცნობილ იქმნა, როგორც წესიერად ნაწარმოები, კოლეგია წერილობითი ფორმით აღნიშნავს ამა თუ იმ ანგარიშის მოხსენებაზე თავის გადაწყვეტილებას რევიზიის დასკვნის შესახებ.

მუხ. 62. უკვე დამთავრებულ რევიზიის ხელახლად შემოწმება შესაძლებელია მოხდეს, თვითეულ კერძო შემთხვევაში, ინსპექციის კომისარის ნებართვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება ისეთი გარემოება, რომელიც სახეში არ ყოფილა მიღებული პირვანდელ რევიზიის დროს.

მუხ. 63. ანგარიშთა წარმოების რევიზიის დასკვნის შესახებ სარევიზიო დაწესებულებანი იცნობებენ სათანადო განმკარგულებელ სამმართველოებს გამკარგულებელ მოქმედებათა წარმოებაზე თავის სარევიზიო დასკვნას არსებითად, ხოლო სალოაროებს უგზავნიან საქვითო ბარათებს მათ საკასო ტრიალის შემოწმების შედეგებზე. ერთიც და მეორეც (საქვითო ბარათებს დასმული უნდა ჰქონდეთ საბუთთა ბეჭედი) ხელმოწერილი უნდა იყოს სარევიზიო დაწესებულების უფროსის მიერ და დადასტურებული იმ პირისაგან, რომლის მოხსენებითაც დასკვნილ იქმნა რევიზია, ანუ მის სანაცვლო პირისაგან, რის შემდეგ იგინი დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ ანგარიშვალდებულ დაწესებულებათ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ.

კომისარი ყოფიკაშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების გამგე სმირნოვი.



# განცხადებანი:

ქალ. ბათომის მე-3-მე უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს 1921 წლ. 19 მარტს გარდაცვალებულ ქალ. ბათომის მოქალაქის ჯეჯან ჩხეიძის ძე იმნაძის მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროს სამი თვის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება ზემოხსენებულ პირის გარდაცვალების შემდეგ დატოვებულ მემკვიდრეობაზე.

ქალ. ბათომის მე-3-ე უბნის სახ. მოსამართლე ახვლედიანი.

თანახმად 68 მუხ. დეკ. № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. თბილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ მოქალაქე სერგო იაკობის ძე მიკიტაძის შვილი იმნაძე განცხადება მისი გვარის მიკიტაძის შვილი იქნეს შარტიზე.

ქვეგანყოფილების უფროსი სიმონი შვილი. საქმის მწარმოებელი მაჭარაშვილი.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს ანყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. თბილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ მოქალაქე ზაქარია იაკობის ძე შაქარაიძის შვილი იმნაძე განცხადება მისი გვარი, მუხრანის შვილი იქნეს ბატუკაზე.

ქვეგანყოფილების უფროსი სიმონი შვილი. საქმის მწარმოებელი მაჭარაშვილი.

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს 1921 წლის 1 ივნისს გარდაცვალებულ ახალციხის მოქალაქე გიორგი კახაიძის შვილი იმნაძის მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე.

ახალციხის 1 უფრ. სახ. მოსამართლე დვინიაშვილი.

**დავპარკე** პასპორტი მიღებული ერევნის მე-3 უბანის "შინათა" თვითმარაგელობიდან 1912 წელს № 25 ანონ იოსების ძე ჯეჯანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე:** 1) უვადო პასპორტი მიღებული ბაქოს მეექვსე საპოლიციო უბნის კანცელარიიდან 1913 წ., 2) მეტრიკული ამონაწერი მიღებული ქუთაისის მაზ. სოფ. დაფნარის სამკველო ეკლესიიდან 1920 წ. იაკობ ნიკოლოზის ძე სულაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე** პასპორტი მიღებული ტფილისში არსებულ აზერბეიჯანის საკონსულოს კანცელარიიდან № 3507 გრიგორი ქრისტეფორის ძე მიქაილას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე** უვადო პასპორტი მიღებული ქალ. ნუხის საპოლიციო სამმართველოდან 1912 წელს ხანატურ სტეფანეს ძე მიქაილას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე** პირადობის მოწმობა მოცემული 1922 წ. ქ. კრასნოდარის მესამე რაიონის მილიციის უფროსისაგან იაკობის ძე შაქარაიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე:** 1) უვადო პასპორტი მიღებული იალტის პოლიციის სამმართველოდან 1913 წ. № 104, 2) პირადობის მოწმობა და სამსახურად განთავისუფლების ქალაქი მიღებული 1921 წ. კისლოვოდსკის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორისაგან, 3) მოწმობა შრომის უნარ დაკარგვის შესახებ მოცემული კისლოვოდსკის სობესისაგან. 4) სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლების შესახებ მოცემული მოსკ. სამხ. კომისარიატისაგან რუბინ აკტიის ძე ნუბაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარკე:** 1) პასპორტი მიღებული 1921 წ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან და 2) მეტრიკული ამონაწერი № 39 სიმონ იაკობის ძე მუხრანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.